

არსენ იყალთოელი

საქართველოს ეკლესიის წმინდანი, ხსენების დღე 6 თებერვალი, საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი.

არსენ იყალთოელი XI-

XII საუკუნეების იმ რჩეულ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედებამ ღრმა კვალი გააგლო შუა საუკუნეების ქართულ სულიერ ცხოვრებას და, ათონელებთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი კულტურული ორიენტაცია. არსენ იყალთოელისა და ამ ეპოქის სხვა ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედება მკაფიოდ უჩვენებს მათი თანადროული საზოგადოების ინტელექტუალურ ინტერესებს და დაუცხრომელ სწრაფვას, აეთვისებინათ იმდროინდელი მოწინავე ცოდნა. სამწუხაროდ, არსენ იყალთოელის ცხოვრების შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. არსენ იყალთოელს კარგად იცნობდნენ XVII-

XVIII საუკუნეების ქართველი მწერლები: [არჩილი](#), [სულხან-](#)

[საბა](#), [ვახუშტი ბაგრატიონი](#), ტიმოთე გაბაშვილი, [ვახტანგ VI](#), [დავით რექტორი](#), [ანტონ კათალიკოსი](#) და სხვ. მათ შემოინახეს არსენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მართალია, ფრაგმენტული, მაგრამ საიმედო ცნობები, რომელთა შეჯერებით არსენის თანადროულ ხელნაწერთა ცნობებთან შესაძლებელი ხდება მისი ცხოვრების ძირითადი მომენტების აღდგენა.

არსენი დაბადებულია 1050 წლის სიახლოვეს, კახეთში, “დაბასა შინა იყალთოსა”. იყალთოელად იწოდებოდა იგი შავ მთაზე, სადაც ეფრემ მცირესთან ერთად მოღვაწეობდა. მამის სახელი ვაჩე შემოუნახავს “დოგმატიკონში” შეტანილ მის მიერ თარგმნილ ერთ-ერთ ტრაქტატს. ახალგაზრდობა გაუტარებია იყალთოს მონასტერში, აქ იგი აღკვეცილა ბერად. შემდეგ მისი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება კონსტანტინოპოლის და სირიის საგანმანათლებლო ცენტრებს. შესაძლოა, იგი იმ 80 მოწაფეს შორის მოხვდა, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა წაიყვანა საბერძნეთში (ი. ლოლაშვილი). ასეთ შემთხვევაში ის მოხვდებოდა ჯერ ათონზე, შემდეგ მანგანას აკადემიაში. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა მის ორი გინალურ და ნათარგმნ თხზულებებში გამოვლენილი საღვთისმეტყველო და იურიდიული განათლება. აქვე უნდა გაცნობოდა იგი ძველ ელინთა წარმართულ ფილოსოფიას და მიხაილ ფსელოსის, იოანე იტალოსის და იოანე ნომოფილაქსის საღვთისმეტყველო მოძღვრებებს.

კონსტანტინოპოლიდან იგი გამგზავრებულია სირიაში, შავ მთაზე, ქრისტიანული მწერლობის ისეთ განთქმულ კერებში, როგორსაც წარმოადგენდნენ სვიმეონ საკვირველმოქმედის და კალიპოსის მონასტრები (ამიტომ იხსენიება კალიპოსელადაც). სირიაში არსენ იყალთოელი ლიტერატურულ საქმიანობას იწყებს ეფრემ მცირის (იხ.) ხელმძღვანელობით.

1101 წელს, ეფრემ მცირის გარდაცვალების შემდეგ, არსენი კვლავ კონსტანტინოპოლში ბრუნდება. რუის-

ურბნისის კრების (1105 წ.) წინა ხანებში დავიტ აღმაშენებლის მოწვევით არსენი საქართველოში ჩამოდის. ამ დროიდან მას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად ფართო სარბიელი ეძლევა. დავითი სიცოცხლის ბოლომდე უდიდესი პატივით ეპყრობოდა არსენ ბერს, ყველა მნიშვნელოვან საქმეში მას ეკითხებოდა რჩევას, მათი ურთიერთობა მოძღვრისა და მოწაფის უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობის ბრწყინვალე ნიმუშია.

დავითის მეფობის დასაწყისში საქართველოს ეკლესია სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა – განადგურებული იყო მატერიალურად და მორალურად. საეკლესიო კათედრები ფეოდალურ სახლებს მიტაცებული ჰქონდათ “მამულობით”, ეკლესია ჩართული იყო შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში. დავითის სახელმწიფო ღონისძიებათა შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას, რომელიც მეფემ 1105 წელს მოიწვია. კრებამ უმნიშვნელოვანესი დადგენილებები მიიღო, ეკლესია გაწმინდა ურჩი, შეუფერებელი და მეფისათვის არასასურველი პირებისაგან. ამ საქმეში მეფის უახლოესი თანამოაზრე სხვა სამღვდელო პირებთან ერთად იყო არსენ იყალთოელი. ამ დროისათვის მას დასრულებული ჰქონდა “დიდი სჯულისკანონის” თარგმანი, რომელიც ძირითად სამართლებრივ წყაროდ დაედო რუის-ურბნისის კრების დადგენილებებს. არსენია ავტორი კრების “მეგლისწერის” ტექსტისა, რომელსაც ერთვის შესავალი, შევსებული პასაჟებით მსოფლიო ისტორიიდან და,

დავით მეფისადმი მიძღვნილი “შესხმა”, რომელშიც გამოხატულია არსენის პოლიტიკური იდეალი, ნასაზრდოები ხელისუფლების ბიზანტიური მოდელით. მთლიანად “მეგლისწერის” სულისკვეთება და დადგენილებები ემსახურება სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას და საეკლესიო მმართველობის სახელმწიფოს ინტერესებში ჩაყენებას.

საქართველოში არსენი უმეტესწილად ცხოვრობდა შიომღვიმეში (ჟორდანია), სხვა ბერებისაგან განცალკევებით, სოხასტერში, რისი პატივიც მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურების ბერებს ჰქონდათ. აქ ეწეოდა იგი ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას. როგორც ჩანს, შიომღვიმეში მას ხშირად ნახულობდა დავით მეფე. მისი რჩევით აუშენებია დავითს შიომღვიმის ღვთისმშობლის ეკლესია და შეუდგენია დავითის ცნობილი “შიომღვიმის ანდერძი”. მისივე რჩევით დაუწესებია მეფეს შიომღვიმეში სვიმეონწმინდური ტიპიკონი, რომელიც შემდგომში სხვა ქართულ მონასტრებშიც ფართოდ გავრცელდა.

შიომღვიმის ტიპიკონის ღამისთევის განგებაში არსენს ჩაურთავს ლოცვა საქართველოზე, რომელშიც საგანგებოდ არის კეთილად მსახური მეფისადმი ვედრებაა შეტანილი: “აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი; მოხედენ სოფელსა შენსა წყალობითა და სიტკბოებით...”

მერმეცა გვედრებით კეთილად მსახურისათვის და ღმერთივ-

დაცვულისა მეფისა ჩუენისა სიმტკიცისა, ძლევისა დამყა

რებისა, სიმრთელისა, ცხორებისა და ცოდვათა მიტევები
სა მისთვის; დარათა უფალი ღმერთი ჩუენიუმეტეს შეეწ
იოს და წარუმართოს ყოველსა შინა და დაუმორჩილნეს ქ
უეშე ფერხთა მისთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი”.

მეფისა და მისი მოძღვრის დიდ სიახლოვეზე მეტყვე
ლებს “დოგმატიკონის” ერთ-

ერთ ნუსხაში დაცული მინაწერი:

“არსენისსა მისრული მღვიმეს იტყვის დავით მეფე:

“მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ჭამა(
გახუხული პური), მარჯუენასა გუერდსა ზედა წვა, ნოსე
ლსა იკითხვიდა და დოღმატიკონსა აწამებდა (ადარებდა
დედანთან) და ცვილისა სოფია-
წმიდასა იგივე მარტოი იქმოდა”.

1106 წელს დაიწყო გელათის მშენებლობა, საფიქრებე
ლია, რომ არც ამ გრანდიოზულ საქმეს მოკიდებდა ხელს
დავითი არსენის რჩევის გარეშე. მისი მონაწილეობა ივა
რაუდება მოხატულობის პროგრამის შერჩევაში და ეკლე
სიის მოწყობაში. იოანე პეტრიწთან ერთად იგი უნდა ყო
ფილიყო გელათის აკადემიის ორგანიზატორი.

არსენი მონაწილეობდა 1123 წელს, ანისის ალების შემ
დეგ სამეფო კარზე გამართულ ქართულ-
სომხურ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც უნდა გამოეძია,
“თუ ვისი სჯულია ჭემმარიტი”.

არსენი გარდაიცვალა XII საუკუნის 20-
იან წლებში, დავითის გარდაცვალების შემდეგ. ტრადიც
იული გადმოცემის თანახმად, დაკრძალულია იყალთოში
ი, ზენონ იყალთოელის გვერდით.

არსენ იყალთოელის ლიტერატურული ინტერესები ჩამოყალიბდა შავ მთაზე, სადაც მძლავრი ტრადიციების ფილოლოგიური სკოლა არსებობდა. აქ მას ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით დაუწყო მეტაფრასული თხზულებების გადმოქართულება. მის მთარგმნელობით უნარს თვით ეფრემ მცირეც კი დაუფარავად აქებდა: “შეუძლებელ კაცთაგან, მისდა და მის მიერ თქუნდა, შესაძლებელ არს. ამას, გლახ, ეფრემ იტყვის, მცირე, მონაი მისი და უფროი სლა მოძღუარი” (მინაწერი ხელნაწერზე შ-

384). არსენის მთარგმნელობითი და ორიგინალური შემოქმედების სფეროში შემოდიოდა ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა ჟანრი: აგიოგრაფია, ჰომილეტიკა, ჰიმნოგრაფია, მსოფლიო ისტორია, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც – ღვთისმეტყველება და კანონიკა. არსენმა თარგმნა VIII საუკუნის ქრისტიანული აღმოსავლეთის უდიდესი მოაზროვნის, იოანე დამასკელის ტრილოგიის – ”წყარო ცოდნისა”, მესამე ნაწილი –

“მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა”. ეს არის საღვთისმეტყველო მოძღვრების კლასიკური ნაშრომი, დამყარებული ქრისტიანული აზროვნების და ანტიკური ფილოსოფიის სინთეზზე. დიდ ყურადღებას უთმობდა არსენი პოლემიკური ლიტერატურის თარგმნას. მის მიერ შერჩეული და ქართულ ენაზე თარგმნილი პოლემიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები თავმოყრილია ცნობილ კრებულში “დოგმატიკონი”, რომელშიც შესულია შუა საუკუნეების საუკეთესო ავტორთა ანტიმონოფიზიტური, ანტინესტორიანული, ანტიმო

ნოთელიტური, ანტიმაჰმადიანური, ანტიიუდაური ტრაქტატები და ერთი ორიგინალური შრომა:

“ხსენებაი სიტყვის-

გებისაი და სასჯელისაი შჯულისათვისქრისტიანეთაისა და სარკინოზთა”

, მასში არეკლილია თბილისის შერეული მოსახლეობის სარწმუნოებრივი ინტერესები და საზოგადოებისათვის საკამათოდ ქცეული საღვთისმეტყველო საკითხები.

“დოგმატიკონი” უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. არსენ იყალთოელს ეკუთვნის ბიზანტიური საეკლესიო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის, “ნომოკანონის” ქართული თარგმანი, რომელიც საქართველოში “დიდი სჯულისკანონის” სახელითაა ცნობილი. ამ თარგმანმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივ დარეგულირებაზე, ფეოდალური საზოგადოების იურიდიული აზროვნების ამაღლებაზე.

არსენ იყალთოელმა თავისი წვლილი შეიტანა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართულად გადმოღებაში. მან თარგმნა ანდრია კრიტელის (660-

740) საგალობელთა კრებული “დიდნი კანონნი”_ რიტმული პოეზიის ერთ-

ერთი ადრინდელი ნიმუში. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი მუდმივად ადევნებდა თვალყურს არსენის ლიტერატურულ საქმანობას. მის “გალობანი სინანულისანში”

აშკარად იგრძნობა ანდრია კრიტელის არსენისეული თარგმანის დიდი გავლენა.

მკვლევარები არსენ იყალთოელს მიიჩნევენ “წინოს ცხოვრების” მეტაფრასული ვერსიის ავტორად (ლოლაშვილი, გაბიძაშვილი). “ცხოვრების” ტექსტის “წინა-უკმო” პასაჟები არსენმა ქრონოლოგიურად დააღაგა, ზოგი პასაჟი ამოიღო, ზოგიც დაუმატა. მან პირველმა დაუკავშირა ქალი-

მოციქულის თემას ღვთისმშობლის წილხვდომილობის იდეა. ტექსტი გამართა თავისი თანადროული საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად – შეიტანა მასში ყველა ის ცნობა ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით, რომელიც ამ დროს გამოვლენილი იყო მისი წინამორბედი მცენიერების, გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ არსენ იყალთოელს რუის-ურბნისის კრებამდე უკვე ნათარგმნი ჰქონდა “დიდი სჯულისკანონი,” რომელიც “მეგლისწერის” მრავალი დადგენილების წყაროს წარმოადგენს.

“მეგლისწერის” შესავალში გამოყენებულია არსენისავე თარგმნილი გიორგი ამარტოლის “ხრონოგრაფი” – მსოფლიო ისტორია, მასში გადმოცემულია სამყაროს წარმოშობისა და ამქვეყნიური წესრიგის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური დასაბუთება, როგორც საფუძველი და პირობა ქრისტიანული ეკლესიის კანონმდებლობისა. აქვეა მინიშნებული მეფის ღმრთისსწორობის იდეაზე,

“მეგლისწერის” შესავალში გამოყენებულია არსენისავე თარგმნილი გიორგი ამარტოლის “ხრონოგრაფი”

– მსოფლიო ისტორია, მასში გადმოცემულია სამყაროს წარმოშობისა და ამქვეყნიური წესრიგის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური დასაბუთება, როგორც საფუძველი და პირობა ქრისტიანული ეკლესიის კანონმდებლობისა. აქვეა მინიშნებული მეფის ღმრთისსწორობის იდეაზე,

რამაც დავითის შემდგომ ფართო გასაქანი ჰპოვა როგორც ისტორიოგრაფიაში (თამარ მეფის ისტორიკოსები), ასევე მხატვრულ ლიტერატურაში (“ვეფხისტყაოსანი”). ასევე გამოუყენებია მისივე თარგმანი მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-

ეგზეგეტიკური თხზულებისა “პირმშოისათვის” (ე.გაბიძაშვილი).

არსენიც ისევე, როგორც ჯერ კიდევ იოანე საბანისძე, შემდგომ კი გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე, ხაზს უსვამს ქართული ქრისტიანობის შეუბღალაობას, სიწმინდეს, იმას, რომ კრების მოწვევის მიზეზი სარწმუნოებრივი გადახრა არ ყოფილა:

“გარნა არათუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისა სა ბიწი რაიმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესრე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ- მოწამე არს ჭეშმარიტებაი”.

არსენ იყალთოელს უდიდესი პატივით იხსენიებენ თანამედროვენიც და მომდევნო პერიოდის ქართველი მწერლები. დავით მეფის ისტორიკოსი მას უწოდებს “თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა”. ხელმწიფის კარის გარიგების ცნობით, მას ეკუთვნის დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,

თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნე
ს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხ
ნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

wyaroebi da samecniero literatura:

1. s. gorgaZe,. filosofiis mTAvარი dargebi qarTul mwerlobaSi, Cveni mecniereba, 1923,#2-3; #4-5.
2. i. abulaZe, rusTavelis xanis qarTuli filosofiuri mwerlobis kidev erTi Zeglis Targmani Zvel somxurze,
3. misive, rusTavelis xanis qarTulidan naTargmni Zveli somxuri mwerlobis Zeglebi,animkis moambe,III, 1938.
4. cxovreba mefeT-mefisa daviTisi, qarTlis cxovreba, I, teqsti gamosca yvela ZiriTadi xelnaweris mixedviT s. yauxCiSvilma, Tbilisi, 1955.
5. dogmatikoni (S-1463, xeln. inst.);
6. didi sjuliskanoni, gamosacemad moamzades e. gabiZaSvilma, e. giunaSvilma, m. dolaqiZem, g. ninuam, Tbilis,Tbilisi, 1975.
7. r. miminoSvili, ioane damaskelis “gardamocemis” qarTuli Targmanebi, Tbilisi, 1965;
8. m. rafava, ioane damaskelis “dialeqtikis” qarTul-somxuri versiebi, macne, 1961, #1-2;
9. misive, ucnobi avtoris antimonofizituri traqtati, macne, enisa da literatueris seria, 1975, ##1;
10. marTImadidebluri sarwmunoebis zedmiwevniTi gadmocema (ori Zveli Targmani wm. efrem mciris da wm. arsen iyalToelisa), gamosacemad moamzades roman miminoSvilma da maia rafavam, winasityvaoba da

SeniSvnebi daurTo maia rafavam, Zveli berZnulidan Tanamedrove qarTulze Targmna , Sesavali da SeniSvnebi daurTo ediSer Welizem, sasukliero akademiis gamomcemloba, Tbilisi, 2000.

11. s. kakabaZe, daviT aRmaSeneblis mematianis vinaoba, Tbilisi, 1913;
12. e. gabiZaSvili, ruis-urbnisis krebis Zegliswera, Tbilisi, 1978;
13. k.kekeliZe, arsen iyalToeli/qarTuli literaturis istoria, Tbilisi, 1960, t.1.
14. j.odiSeli, daviT aRmaSeneblis istorikosois vinaobis sakiTxisaTvis/xelnawerTa institutes moambe, Tbilisi, 1963, t.5.
15. lolaSvili, metafrasuli “ninos cxovrebis” avtoris vinaobisaTvis/ macne, enisa da literaturis seria, Tbilisi, 1974, #4,
16. misive, arsen iyalToeli, Tbilisi,1978,
17. Ш.Хидашели, Основные мировоззренческие направления в феодальной ГрузииБ 1962.
18. k. kekeliZe, etiudebi Zveli qarTuli literaturis istoriidan, I, 1956, 251-252.
19. v. abaSmaZe, narkvevebi saqarTvelos politikur moZRvrebata istoriidan, 1969.
20. z. aleqsiZe, arsen vaCes Zis “dogmatikonSi “ Sesuli antimonofizituri traqtati da misi gamoZaxili Zvel somxur mwerlobaSi, mravalTavi,I, 1971.
21. ioane damaskeli, dialeqtika, qarTuli Targmanebis teqsti gamosca, gamokvleva da leqsikoni daurTo m. rafavam, Tbilisi, 1977;
22. e. aleqsiZe, qarTul enaze moRweuli antilaTinuri polemikuri Txzuleba (evstrati nikielis traqtati), Tsu

Sromebi, 162, arqeologia, klasikuri filogia, bizantinistika, 1975;

23. 1. daTiaSvili, antimahmadianuri oilemika Teodore abukuras naSromebSi, Zveli qarTuli mwerlobisa da rusTvelologiis sakiTxebi, VII-VIII, 1976;